საქართველოს სასკოლო/ეროვნული გუნდების საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის ხელშეწყობა

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს „წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების“ პროგრამის „საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების“ ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს სასკოლო და ეროვნული გუნდების მხარდაჭერას ზუსტი, საბუნებისმეტყველო, საინჟინრო, ტექნოლოგიური, რობოტიკისა და ხელოვნური ინტელექტის მიმართულების საერთაშორისო ოლიმპიადებსა და ტურნირებში მონაწილეობის მიზნით.

<u>ქვეპროგრამის ფარგლებში პროექტების წარმოდგენისა და განხილვის ეტაპები;</u>

<u>**პროექტის განაცხადის ფორმა და ვადები**</u>

- პროექტის განაცხადის ფორმა წარმოდგენილია დანართი №1-ის სახით;
- პროექტის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს შესაბამისი ოლიმპიადის/ტურნირის დაწყებამდე არანაკლებ 15 სამუშაო დღით ადრე.

<u>**ინფორმაციის გავრცელება**</u>

პროექტების წარმოდგენისა და დაფინანსების პირობების შესახებ ინფორმაცია:

- ხელმისაწვდომია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე - mes.gov.ge;
- დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამის (eflow) მეშვეობით მიწოდებულია საგანმანათლებლო რესურსცენტრებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმირების მიზნით.

დამატებითი ინფორმაცია გაიცემა მოთხოვნის შემთხვევაში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

<u>**პროექტების წარმოდგენა**</u>

- პროექტის განხილვის საფუძველია დაინტერესებული პირის მიერ სამინისტროსთვის წარმოდგენილი წერილობითი განაცხადი;
- პროექტის წარმოდგენაზე უფლებამოსილია ნებისმიერი იურიდიული პირი;
- სამინისტროს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების გარდა, სხვა იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ თანადაფინანსება, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პროექტის საერთო ღირებულების 50%-ს.

<u>**პროექტების განხილვა**</u>

- დაფინანსების მიზნით წარმოდგენილ პროექტებს (განაცხადებს) განიხილავს მინისტრის ბრძანებით შექმნილი პროექტების განმხილველი კომისია (შემდგომ - კომისია);
- კომისია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით განიხილავს წარმოდგენილ პროექტებს და უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) პროექტის დაფინანსება;

ბ) პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმა;

გ) პროექტის განსხვავებული ოდენობით დაფინანსება;

დ) პროექტის კორექტირების მოთხოვნა.

პროექტებზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კომისია უფლებამოსილია პროექტის შესახებ რეცენზიები გამოითხოვოს სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებიდან, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს და მოუსმინოს შესაბამისი დარგის სპეციალისტს.

კომისია გადაწყვეტილებას იღებს:

- წარმოდგენილი ინფორმაციის შეფასების;
- ქვეპროგრამის სტრატეგიულ მიზანთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

პროექტში (განაცხადში) მითითებული ინფორმაციის სიზუსტესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია პროექტის წარმომდგენი.

<u>რეკომენდაციები და კორექტირება</u>

- საჭიროების შემთხვევაში, კომისია პროექტის წარმომდგენს აძლევს რეკომენდაციებს წერილობითი სახით მათ შორის პროექტის განაცხადის ფორმაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე;
- კორექტირებული პროექტის წარმოდგენა უნდა მოხდეს ელექტრონული ფოსტის გაგზავნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;
- რეკომენდაციის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია შეწყვიტოს პროექტის განხილვა;
- ერთ საკითხზე რეკომენდაცია გაიცემა არაუმეტეს ორჯერ.

<u>დაფინანსებაზე უარის თქმის საფუძვლები</u>

კომისია უფლებამოსილია პროექტის დაფინანსების შესახებ რეკომენდაციის გაცემაზე უარი თქვას შემდეგი გარემოებების არსებობისას:

- განაცხადი წარმოდგენილია ხარვეზით (არ არის შევსებული სათანადო წესით, თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილია არასრულად, წარმოდგენილია მინისტრის მიერ დადგენილი ვადებისაგან განსხვავებულ დროს);
- პროექტის მიზანი არ არის შესაბამისობაში ქვეპროგრამის პრიორიტეტებთან;
- არ არის ლოგიკური კავშირი მიზნებს, ამოცანებსა და აქტივობებს შორის;
- არ ირკვევა ან ბუნდოვანია პროექტის მოსალოდნელი შედეგები და მათი ეფექტურობა;
- არ ირკვევა ან ბუნდოვანია დაგეგმილი აქტივობების რელევანტურობა;
- არ ირკვევა ან ბუნდოვანია მოსალოდნელი შედეგების ან აქტივობების განსაზღვრულ ვადებში შესრულების რეალურობა;
- ბიუჯეტი არარელევანტურია ან ითვალისწინებს ტექნიკისა და აღჭურვილობის შესყიდვას;

- შეიცავს დაფინანსების მოთხოვნას პროექტის განხორციელებასთან ირიბად დაკავშირებულ, დამხმარე ხასიათის საჭიროებებზე: სხვა აქტივობები, ტექნიკა, ავეჯი, საკომუნიკაციო/ადამიანური რესურსები, ტრენინგები/სასწავლო კურსები და სხვა;
- ითვალისწინებს ბენეფიციართა თანადაფინანსების საჭიროებას;
- პროექტის აქტივობები არათანაბარ პირობებს უქმნიან ბენეფიციარებს ან იკვეთება დისკრიმინაციული საფრთხის შემცველი რისკები;
- პროექტი ორიენტირებულია ფინანსური მოგების მიღებაზე;
- პროექტი ეფუძნება ვარაუდებს, არ შეიცავს განხორციელების/შეუფერხებელი განხორციელების რეალურ გარანტიებს;
- პროექტის განხორციელების ამოცანები არ არის წარმოდგენილი ბენეფიციართა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების და უფლებების გათვალისწინებით;
- შედეგები არ არის მკაფიო, გაზომვადი ან შეფასებადი;
- საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გაირკვევა, რომ პროექტი ეფუძნება ყალბ ინფორმაციას/დოკუმენტს;
- სხვა ისეთი გარემოების არსებობა, რომელიც გამორიცხავს პროექტის დაფინანსების მიზანშეწონილობას.

<u>საბოლოო გადაწყვეტილება</u>

კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე:

- პროექტის დაფინანსების შესახებ ბრძანებას გამოსცემს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი ან მისი ფუნქციათა შემსრულებელი;
- ბრძანების საფუძველზე, პროექტის წარმომდგენს უფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.